ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2147109

ნომერი: AR1333951

თარიღი : 17.08.2015

გაცემის თარიღი : 19.08.2015

გაცნობის თარიღი : 01.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი შენგელია პ/ნ 01024005613
- საბურთალოს ქ.35 ბ.18

ორგანიზაცია:
- შპს,,თენ" კოდი: 404891168

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  რეკონსტრუქცია
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე (დროებითი სტატუსით) შლაგბაუმისა და საყარაულო ჯიხურის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #14-ში, შპს "თენ"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შლაგბაუმისა და საყარაულო ჯიხურის განთავსებას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015301562 08.06.2015 წ. საკადასტრო კოდი N 01.14.05.008.158; არსებული ფოტო და საპროექტო ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა შლაგბაუმისა და საყარაულო ჯიხურის განთავსების ჩვენებით) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #14-ში, შპს "თენ"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შლაგბაუმისა და საყარაულო ჯიხურის განთავსების შესაძლებლობას დროებითი სტატუსით, მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ-ს) სამშენებლო რეალიზაციამდე.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.